სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის 2025 წლის ---- ივნისის N ---------- ბრძანების
N1 დანართი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს სახანძრო უსაფრთხოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ ”საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში ,,მაუწყებელი“) სახანძრო უსაფრთხოების წესი (შემდგომში - ”წესი”) შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სავალდებულო წესებს და ქცევის სტანდარტებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა მაუწყებლის ყველა თანამშრომლისთვის, ვიზიტორისთვისა და კონტრაქტორისათვის, რომლებიც მაუწყებლის ტერიტორიაზე იმყოფებიან ან ასრულებენ პროფესიულ/სამ-სახურებრივ ფუნქციებს.

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს და წინამდებარე წესით დადგენილი ღონისძიებების შესრულება ევალება მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის შრომის უსაფრთხოების მენეჯერს (შემდგომში „მენეჯერი“).
2. მაუწყებელში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
3. მაუწყებელი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრით, რომელიც განათავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია მაუწყებლის თანამშრომლებისთვის.
4. მაუწყებლის შიგნით, სამუშაო სივრცეში აკრძალულია თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის მოხმარება.
5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, მაუწყებელის დირექტორი ნიშნავს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირს.

6. მაუწყებელის დირექტორი განსაზღვრავს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირს.

7. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირები ვალდებულნი არიან დროულად და სათანადოდ უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება.

8. პასუხისმგებლობა წინამდებარე წესით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ეკისრებათ მაუწყებლის თანამშრომლებს.

9. თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ მაუწყებელში ხალხმრავალი ღონისძიებების ჩატარება, ვალდებულნი არიან ღონისძიებების დაწყებამდე ყურადღებით დაათვალიერონ სათავსები და დარწმუნდნენ მათ უსაფრთხოებაში ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით.

10. მაუწყებლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთოს პერსონალური კომპიუტერი ან/და სხვა ელექტრო ხელსაწყოები;

გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ოთახის დაკეტვის წინ, ჩაატაროს დათვალიერება, გამორთოს ელექტრო ხელსაწყოები და განათება;

დ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი და წვადი სითხეების და აირების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;

ე) იცოდეს ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები;

ვ) ევაკუაციისას შენობიდან გასვლა მოახდინოს ევაკუაციის გეგმის შესაბამისად და არ გამოიყენოს ლიფტი (არსებობის შემთხვევაში);

ზ) იცოდეს ცეცხლმაქრებით სარგებლობის ხერხები;

თ) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები.

11. თანამშრომლებს ეკრძალებათ:

ა) სათავსებში ადვილად აალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;

ბ) თამბაქოს მოწევა მაუწყებლის ტერიტორიაზე (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა);

გ) შენობაში ქაღალდების ან სხვა ადვილად აალებადი ნივთიერებების ღია მდგომარეობაში დაყრა;

დ) მაუწყებელში ღია ცეცხლის გამოყენება;

ე) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტრო ხელსაწყოებისა და ელექტრო ინსტრუმენტების გამოყენება;

ვ) ქსელში ჩართული ელექტრო ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება.

მუხლი 3. შრომის უსაფრთხოების მენეჯერისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირების ვალდებულება

1. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების მენეჯერისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირების მოქმედებები უნდა იყოს მიმართული ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე.

2. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირი ვალდებულია:

ა) იცოდეს ელექტროენერგიის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ხოლო ხანძრის ან ასეთის წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში, დაუყონებლივ გათიშოს ელექტროენერგიის მოწოდების წყარო;

ბ) იცოდეს ცეცხლმაქრი სისტემების გამოყენება, მათი ვარგისიანობის ვადა და შევსების დრო, ასევე პერიოდულად უნდა ამოწმებდეს ცეცხლმაქრების მდგომარეობას;

გ) მონაწილეობა მიიღოს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროცესში;

დ) შენობიდან გასვლის წინ შეამოწმოს ტელევიზიის მთლიანი შენობა, გამორთოს ელექტროენერგია, გამართულ მდგომარეობაში დატოვოს სიგნალიზაცია;

ე) ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, მათი მოქმედება მიმართული უნდა იყოს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე. დროულად მიუთითოს ადამიანებს საევაკუაციო გასასვლელ(ებ)ისკენ;

ვ) მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზება, თუ ეს არ აღემატება მის შესაძლებლობებს. გამოიძახოს სახანძრო-სამაშველო სამსახური, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

ზ) ადგილზე მოსულ მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარების შესახებ და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს მიაწოდოს ინფორმაცია შენობის კონსტრუქციული თავისებურებების, სათავსებში არსებული ნივთიერებებისა და მასალების ხანძარსაშიში თვისებების შესახებ.

მუხლი 4. ხანძრის შემთხვევაში მაუწყებლის თანამშრომლების მოქმედების წესი

1. მაუწყებელში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში, თითოეული თანამშრომელი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო-სამაშველო სამსახურს ტელეფონით “112” და მორიგე ჯგუფს (ამასთან აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი);

ბ) მომხდარის თაობაზე შეატყობინოს მაუწყებლის ადმინისტრაციას, ასევე აცნობოს გარშემო მყოფ პირებს;

გ) შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;
დ) გათიშოს დენის წყაროდან სათავსოში არსებული, მასზე განპიროვნებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები;
ე) საშიშროების საერთო განკარგულების მიღებისას დატოვოს შენობა.
2. მაუწყებელში ხანძრის შემთხვევაში ევაკუაცია ხორციელდება **N1 დანართით** გათვალისწინებული ინსტრუქციის მიხედვით.

მუხლი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი

1. სახანძრო უსაფრთხოების სწვლება უტარდება მაუწყებლის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.
2. სახანძრო უსაფრთხოების სწავლების/ტრენინგის ჩატარება ითვალისწინებს მაუწყებლის თანამშრომელთა გაცნობას:
ა) მაუწყებლის ტერიტორიის, შენობის, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;
ბ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესებთან;
გ) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.
3. ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილია შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი.
4. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება:
ა) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;
ბ) სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მიღებულ პირებს.
5. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ა) მონაცემებს ობიექტის (წარმოების) ხანძარ და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ;
ბ) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;
გ) ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;
დ) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვის თაობაზე ბრძანებების, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითადი მიზეზების გაცნობას;

ე) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.

6. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება მაუწყებლის მოქმედ თანამშრომლებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროგრამის მიხედვით.

7. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ ობიექტში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში;

ბ) მაუწყებლის ინფრასტრუქტურის, მოწყობილობის, სისტემების მოდერნიზაციის შემთხვევაში;

გ) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

დ) სხვა დაწესებულებაში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;

ე) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.

8. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება თანამშრომელთა მონაწილეობით მასობრივი (50 ადამიანზე მეტი) ღონისძიებების ჩატარებისას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შეთხვევებში.

9. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“ **(დანართი N2),** იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

10. მაუწყებელში არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ ტარდება ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის

1. მაუწყებლის პერსონალი ვალდებულია მკაცრად დაიცვას დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების წესი და დაემორჩილოს შრომის უსაფრთხოების მენეჯერისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს.

2. პირის მიმართ, რომელიც დაარღვევს სახანძრო უსაფრთხოების წესებს, გამოიყენება დისციპლინური წარმოების წესით გათვალისწინებული შესაბამის ზომები.

დანართი N1

ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია

№	მოქმედებების დასახელება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებლი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე -"112"	პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი
2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის	პასუხისმგებელი პირი
3	ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან	ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით	პასუხისმგებელი პირი
4	ევაკუირებულთა აღრიცხვა	ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება	პასუხისმგებელი პირი
5	ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია	ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგა-ნიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია	პასუხისმგებელი პირი
6	სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა	სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა	პასუხისმგებელი პირი

დანართი N2

პოზიცია

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის

ჟ უ რ ნ ა ლ ი

დაიწყო ---------- წ.
დამთავრდა ---------- წ.

თარიღი	პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	დაბადების წელი	ინსტრუქტაჟის სახეობა	ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა	ხელმოწერა	
					პირი, რამელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი	ინსტრუქტორი
1	2	3	4	5	6	7